სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

02 ნოემბერი 2026

N 21/15880

შპს „პოლივიმი“-ს

მის: ქალაქი რუსთავი, მშვიდობის ქუჩა №48

ელ.ფოსტა: info@polyvim.ge

info@enseco.ge

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ (შემდგომ – სააგენტო) განიხილა თქვენი 2026 წლის 2 ოქტომბრის №15047 წერილით წარმოდგენილი საქმიანობის – პოლიეთილენ-ტერეფტალატის (PET) ბოთლების რეციკლირების (ნარჩენების აღდგენა) და პოლიეთერის ბოჭკოს საწარმოს ექსპლუატაციის პირობის ცვლილებაზე სკრინინგის განცხადება.

სკრინინგის განცხადებაში მითითებულია, რომ საწარმოში განხორციელდა ექსპლუატაციის პირობის ცვლილება, რომლის ფარგლებშიც საწარმოო ციკლში გათვალისწინებულია ახალი ტექნოლოგიური კვანძი. აღნიშნული კვანძი სპეციალიზებულია სს „რუსთავის აზოტი“-ს მიერ მიწოდებული პოლიპროპილენისა (PP) და პოლიეთილენის (PE) ტომრების წინასწარ დამუშავებაზე. სკრინინგის განცხადებაში ასევე აღნიშნულია, რომ დღეის მდგომარეობით, შპს „პოლივიმი“-ს ტერიტორიაზე დასაწყობებულია სს „რუსთავის აზოტი“-სგან შეძენილი პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის ტომრები, რაზეც სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ შპს „პოლივიმი“-ს მიმართ 2025 წლის 30 დეკემბერს შედგენილია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №098464 ოქმი.

აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი სკრინინგის განცხადებით ახალ ტექნოლოგიურ ხაზზე დასამუშავებელი სახიფათო ნარჩენების (ტომრები) წლიური რაოდენობა ვერ დგინდება. ამასთან, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელებული ინსპექტირების შედეგად დადგენილია, რომ შპს „პოლივიმი“-ს ტერიტორიაზე დასაწყობებულია სს „რუსთავის აზოტი“-ს ქიმიური საწარმოდან შეტანილი 237 ტონა პოლიპროპილენის და პოლიეთილენის ტომრები და პარკები, რომლებშიც განთავსებულია ნარჩენი ამონიუმის ნიტრატი გრანულების სახით.

გაცნობებთ, რომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ I დანართის მე-16 პუნქტის თანახმად, წელიწადში 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის აღდგენა ან/და განთავსება წარმოადგენს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას დაქვემდებარებულ საქმიანობას და საჭიროებს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებას.

შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ შპს „პოლივიმი“ ახორციელებს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ I დანართის მე-16 პუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას, კომპანიამ უნდა უზრუნველყოს ამავე კოდექსით დადგენილი შესაბამისი პროცედურების გავლა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას, მიიღოს გადაწყვეტილება თქვენ მიერ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაზე და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის 5^1 ნაწილის საფუძველზე, წყვეტს ადმინისტრაციულ წარმოებას.

ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/15880-21-2-202611020850